

572
1985

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი



1985 წლის მატიკა № 10

საბავშვო



მსოფლიოში პიკველი

ოქტომბრელებო! თქვენ იცით, რომ თქვენა ხართ ჩვენი პიონერების უმცროსი და-ძმები, თქვენს სამკერდე ლალისფერ ვარსკვლავზე, ისევე, როგორც პიონერიის დროშაზე, დიდი ლენინის სახე ანათებს. ეს იმას ნიშნავს, რომ სამშობლოს ისევე სჯერა თქვენი, როგორც პიონერებისა.

პიონერი კი, ხომ იცით, ვინ არის?

სიტყვა „პიონერი“ ნიშნავს პირველს, პირველგამკვლავს, ახალი გზების მკაფავეს რაიმე საქმეში. რამდენი საქვეყნოდ საკეთილდღეო რამე წამოუწყია ჩვენი ქვეყნის პიონერთა ორგანიზაციას თავისი არსებობის თითქმის 65 წლის მანძილზე! ახლა ერთ ასეთ საქმეზე გიამბობთ.

50 წელიწადზე მეტი დრო გავიდა მას შემდეგ... 1933 წლის ბოლოს თბილისის მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრში იმგა იდუა, წამოეწყით მასობრივი თამაში: „ნორჩი ტექნიკოსები აშენებენ რკინიგზას“. ბავშვებმა სიხარულით აიტაცეს ეს წამოწყება და უფროსების ხელშეწყობით ხალხით შეუდგნენ საქმეს.

ამიერკავკასიის რკინიგზის პიონერთა სასახლის მოსწავლეებისაგან შეიქმნა ნორჩ მშენებელთა ბრიგადები და ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკს იქით გადაშლილ ტრიალ მინდორში დაიწყო მუშაობა ლიანდაგის დასაგები გზის მოსამზადებლად. მშენებლობისათვის შესაფერისი ადგილი ამიერკავკასიის რკინიგზამ გამოიხაზა, რომელიც არც რჩევა-დარიგებას აკლებდა ბავშვებს.

თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელმა ქარხანამ პიონერებს სამუშაოდ დაუთმო ჩარხები და ინსტრუმენტები, მოზარდ მაყურებელთა თეატრმა — თავისი სახელოსნოები, სადაც ორთქლმავლისა და ვაგონების მცირე დეტალები მზადდებოდა. გამოცხადდა კონკურსი სადგურების და ბაქნების საუკეთესო პროექტზე. 30-ზე მეტმა ნორჩმა არქიტექტორმა წარადგინა პროექტები საკონკურსოდ.

და აი, 1935 წლის 4 ოქტომბერს დამთავრდა თბილისის საბავშვო რკინიგზის პირველი რიგის სამუშაოები. ამუშავდა მსოფ-



ლიოში პირველი საბავშვო რკინიგზა. პატარა ლიანდაგზე შემდგარმა პატარა ორთქლმავალმა პირველად გადაიყვანა მგზავრები სადგურ „მიონერულიდან“ სადგურ „სიხარულში“. შემადგენლობაში ორი მაგარი ვაგონი იყო და ერთიც რბილი — ფრიადონებისათვის. რკინიგზას მხოლოდ მიონერ-მოსწავლეები ემსახურებოდნენ — მატარებლის შემაქანე, გამცილებლები, გზის მვისრეები, — ყველანი ბავშვები იყვნენ.

„რეისი სიხარულში“ უნოდეს თავიდანვე თბილისის საბავშვო რკინიგზას.


რეისი სიხარულში გრძელდება. მოსწავლეთა არდადეგების პერიოდში ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის ირვგვით აგერ უკვე 50 წელია ნამდვილი რკინიგზა მოქმედებს — ნამდვილ, პატარა ლიანდაგზე დადის პატარა მატარებელი — ნამდვილი ორთქლმავალი, ნამდვილი ვაგონები...

რეისი გრძელდება.

ხომ ხედავთ, ჩვენი პატარებო, ჯერ კიდევ როდის, ჯერ კიდევ რა პირველი მსოფლიოში პირველებმა გააკეთეს თბილისელმა ნორჩმა ტექნიკოსებმა ეს დიდი საქმე. და დღეს, როცა ჩვენი პარტია და მთავრობა ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, ჩვენ გვინდა თქვენც, ოქტომბრელებიც, შეძლებისდაგვარად ჩაერთოთ საქვეყნო საფიქრალში. რით? თუნდაც ჯართის მოგროვებით. იცით, რომ ბავშვების შეგროვითი ჯართით ომის დროს საომარი ტექნიკა დამზადებულა, მშვიდობიანობისას — ქართული ელმავალი...

ანდა აი კიდევ რა! გაერთოთ ტექნიკური სათამაშოებით — კონსტრუქტორებით, კუბიკებით, საშენი ბლოკებით — ეს გონებას გააგივარაფრებთ, შეგაჩვევთ დაფიქრებას, სირთულეების გადაწყვეტას და შერე, ვინ იცის, იქნებ თქვენც შეუნყოთ ხელი თქვენს სამშობლოში ტექნიკის წინსვლას.

17. 9. 73



ოთარ შალამაზიძე

ნოდარიკოს დილა



უთენია წამოდგება,
თვალში სხივი უციმციმებს;
საყენეს უყრის საბუღრიდან
გამოცვნილ კრუხ-წიწილებს.
ჯუჯულები, ყვინჩილები
ჩაუფრინდნენ ლამის ხელში, —
ამისთანა ბიჭუნაო
არ გვინახავს თავის ღღეში.
ძროხას ნახირს გააყოლებს,
მერე იწყებს ბოსლის წმენდას.
არ მეგონა, თუ ამაზე
ლექსის წერა მომიწევდა.
გოჭუნებს გამორეკავს,
იქვე უდგას სალაფავი.



ნეტავ ერთი შეგახედათ,
რა ყოფა აქვთ. რა ამბავი.
გაღებდას კობტა ბოსტანს,
ეზოში რომ აგრე შეენობს, —
მანდ პამიდერის ჩითილები
ქარში ხომ არ წამეჭკნენო.
— განა მარტო მოწაფე ვარ? —
გლფხის საქმე მეც მიტაცებს, —
ასე უთხრა ნოდარიკომ
ამ პაწია ლექსის დამწერს.
გადაიბანს ბოლოს ხელ-პირს,
გამოიცვლის ტანზეც უცებ,
ზურგზე ჩანთას მოიგდებს და
სკოლისაკენ მიტტუსტუსებს.

ქ. შალამაზიძის
წიგნი
ნოდარიკოს დილა

იპ მთას იქით

მარწყვზე მე და ჩემი ძმა ელდარი წავედით. გადავიარეთ შეყვითლებული, ამრეშინილი პურის ყანა. ყანის იქით პატარა ღელეა. შიგ ნაკადული მიდის და რიყის ქვებზე თავპირს იმტვრევს. ორივემ ორ-ორი პეშვი ცივი წყალი დავლიეთ, პირზეც შევისხით და ღელით მეორე მხარეზე გადავედით, სადაც მარწყვი უნდა დაგვეკრიფა.

ეს მთა ჩვენი სოფლიდან კარგად მოჩანს. უზარმაზარი ვეშაბივით არის განოლილი. მის ზურგზე ერთადერთი, ობლად დარჩენილი, გაბარჯულტოტებიანი მუხა დგას.



მხატვარი თამაზ ხატიშვილი

სხვას ვერაფერს ნახავთ, ირგვლივ მარტო ბალახია — გაზაფხულობით მწვანე ხავერდით ევლება მთას, ზაფხულში მწვანე ყვითლად; შემოდგომაზე მთას რუხი ფერი ედება, ზამთარში კი თოვლით გადათეთრდება, და ტოტებშეჭირბლული მუხა ხშირად სქელ, გაუმჭვირვალ ნისლია შემალული.

ავდივართ მთის კალთაზე წინწახრილები და ვაფაციცებით ვეძებთ ბალახში მარწყვს. სამყურა, იელი და გვირილა ერთმანეთში გაბმულა; მარწყვს მალავენ, ჩვენ მაინც ვპოულობთ — მნიფე, გალუდლუდებულ გვიციხის დაბლიდან, ჩვენ ლეროიანად ვწყვეტთ, ზოგით პირს ვიტკბარუნებთ, ზოგსაც მარცხენა ხელით ვიქურჩებთ.

რაც უფრო მალა-მალა მივიწევთ მთის ზურგისაკენ, ჩვენს სოფელს უფრო კარგად ვხედავთ. ნითელკრამიტინი სახლები ხეხილბაბით სოკობივით ამოზრდილა, ჩვენი სახლიც ვიცანით, — ბებოს პური უნდა გამოეცხო და სადაც თონე გვიდა, იქიდან ლურჯი კვამლი ასვეტილა ცისკენ.

იმდენი მარწყვი დავეკრიფეთ, ხელში აღარ გვეტევა. ბევრიც ვჭამეთ. ამასობაში მთას ზურგზე მოვექეციეთ. დავსხედით მუხის ქვეშ. ბალახი ხელით მოვთელეთ და მარწყვი ზედ დავყარეთ.

უუ, რა ნიავეა შემოგვიბერა, გვეგონა, ქორჩებს მოგვტაცებდა, მუხა კიდევ ხომ შრიალებს და შრიალებს.

— რა კარგია აქ, — თქვა ელდარმა და კალიასავით მეძგერა, თუ ბიჭი ხარ, დამეჭიდეთ.

ვჭიდაობთ, ვკოტრილობთ ბალახებში. ჩვენი სიცილ-ხარხარის ხმა ვინ იცის, საით მიაქვს ნიავეს.

უცებ გრუხუნის ხმა მოგვესმა.

მე და ელდარმა ერთმანეთს ხელი ვუშვიით. ყური მივუვადეთ. გრუხუნი თანდათან ახლოვდებოდა.

— ტრაქტორია! — ამბობს ელდარი.

მთაზე ტრაქტორს რა უნდა მეთქი, ფეხზე წამოვხტი და იქით გავიხედე, საიდანაც გრუხუნის ხმა მოდიოდა. ვუყურებ და თვალეხს არ ვუჯერი, ფერდობზე მთას იქიდან ლულაა აწვერილი, მწვანედ შეღებილი ტანკი მოგარუხუნებს.

— ტანკი! — გაიძახის ელდარი და მეკითხება, — ჩვენია?

— მა ვისი იქნება, ჩვენია, — ვამბობ მე.

— ელდარი ტანკისკენ გაიქცა, რომ ახლოს ნახოს. მეც მივყევი.

ტანკი ცოტა კიდევ ამობობლდა ზევით, გვერდით შეტრიალდა და გაჩერდა.

კოშკურა აიხადა. იქიდან შავქუდიანმა

ტანკისტმა ამოყო თავი, მაღლა ამოძვრა, მუხლუხოზე დადგა და ძირს გადმოხტა; გადმოხტა და ღიმილით წამოვიდა ჩვენკენ.

— გამარჯობათ, ბიჭებო, — მოგვესალმა და ხელი გამოგვიწოდა, — აქ რას აკეთებთ?

— მარწყვზე წამოვედით, — ვთქვი მე.

— ბევრი მოკრიფეთ?

— ბევრი!

ელდარი მუხისკენ გაიქცა.

ტანკის კოშკურიდან ახლა სხვამ ამოყო თავი.

— ამხანაგო ლეიტენანტო, რადიოთი გვეკითხებიან, რატომ შეწყვეტეთ ვარჯიშო.

— გადაეცით, რომ მთაზე ბავშვებს შეეხვდით. მალე გაეავრძელებთ! — მიუგო ლეიტენანტმა.

ელდარი ქაქანით მოვარდა, თან ორივე მუჭით მარწყვი მოიტანა, ლეიტენანტს გაუწოდა. იმან ორი მარცვალი აიღო.

— სულ თქვენია!

ლეიტენანტმა მარწყვი გამოართვა და მაღლობა გადაგვიხადა.

— ძია, ჩამსვი რა ტანკში! — ამბობს ჩემი ძმა და თვალები ტანკისკენ აწყდება.

— წამოდით, თქვენ ხომ მომავალი მეომრები ხართ; ვინ იცის, ტანკისტებიც გამოხვიდეთ, — გვითხრა იმან და გადავიძღვა. ტანკს წინიდან მოუარა, ხელით მიაკაკუნა. გაიღო რკინის სარკმელი და ვილაცამ გამოიჭყვიტა.

— აჰა, მარწყვი, ბიჭებმა მოგვართვეს.

იმან ხელი გამოყო, ლეიტენანტმა მარწყვი მუჭაში ჩაუყარა. მერე ჯერ ელდარი აახტუნა ტანკზე, მერე — მე. თვითონაც ამოვიდა და კოშკურაში ჩაძვრა. ჩვენც ჩავყვევით. ტანკი შიგნიდან ელნათურებით იყო განათებული, იქ ორი ტანკისტი კიდევ დაგვხვდა, ჩვენ მოკრეფილ მარწყვს ჭამდნენ და გვიცინოდნენ.

ლეიტენანტმა ორივე გავვაცნო. ერთზე თქვა, ტანკის მესაჭეაო, მეორეზე — მემიზნეო. მე მეთაური გახლავართ, თუ გაჭირდა, სამივეს შეგვიძლია სათითაოდ ვმართოთ ტანკი და მტერს ვაჭყაცურად შევეტოთო.

ის საჭეს მიუჯდა. ტანკი აგრუხუნდა და დაიძრა. მთის ფერდობს ქვემო-ქვემო დაუყუყვევით. მე და ელდარი პატარა სარკმელიდან ვიყურებოდით გარეთ და გვიხაროდა, რომ ტანკით ემოგზაურობდით.

ტანკი შემობრუნდა და ისევ იმ ადგილას მიგვიყვანა, სადაც ჩავსხვდით.

— აქ კი უნდა დაგემშვიდობოთ, — გვითხრა მეთაურმა და კოშკურის სარქველი ახადა. აძვრა მაღლა და ჩვენც ავძვერით.



ძირს რომ ჩავხტით, მეთაური გვეუბნება:

— ბიჭებო, ერთ სამხედრო საიდუმლოს გაგანდობთ, კარგი?

ჩვენ ლამის სუნთქვაც კი შეწყვეტილ საიდუმლოს მოლოდინში.

— ამ მთის იქით ჩვენი სავარჯიშო მოედანია. თუ არ ვივარჯიშებთ, ისე მტერს როგორ დაეხვებოდით? ხოდა, ახა თქვენ იცით, რაც აქ ნახეთ... მან ტურნეზე თითი მიიღო. მიგვახვედრა, საიდუმლოა და არსად წამოგცდეთო, მხედრულად მოგვესალმა და კოშკურაში ჩაძვრა.

ტანკი მთის ფერდობზე დაეშვა. ვიდრე თვალს არ მიეფარა, მე და ელდარი ისევ იქ ვიდექით.

ის ამბავი მართლაც საიდუმლოდ დარჩა. არავისთან წამოგცდენია. როცა გახსენება გვინდა, მე და ელდარი ერთმანეთს საიდუმლოდ ვერჩურჩულებით ხოლმე.



ქედლის მხატვრობის აღმოჩენის აპზაპი

ჯურბა ნაღირაძე

მხატვარი მღჰარა ამგოკაძე

ეს ამბავი მოხდა ჩათალ-ჰუიუკში რვა ათას ორასი წლის წინათ. ანატოლიის ზეგანზე გაშენებული ამ ულამაზესი სოფლის ერთი სახლის ბანზე ბიჭი იჯდა და გველი-საგან შენითლებული ტრამალები იქით აღმართულ მთებს გაჰყურებდა. ბიჭი მხატვრის შეგირდი იყო და უყვარდა აფერადებული ცის ფონზე ალანძული მთების ცქერა. მთები არწივებისა და სვაეების საბუდრად ჰქონდა წარმოდგენილი და კიდევაც ხატავდა ხოლმე მწვერვალების თავზე მოფარფატი ძლიერფრთებიან ფრინველებს. ახლაც გულმოდგინედ აკვირდებოდა ლურჯად დაბინდული მთის დამრეცი ფერდობებს და უსებადდა შემაძრუნებული სანახავი გადაეშალა თვალწინ. თოვლიანი თეთრი მწვერვალებიდან შავი კვამლი ამობოლქვა და ჩამავალი მზისგან შენითლებული ცის კიდური ჩააბნელა. ბიჭს სუნთქვა შეეკრა, შიშისაგან ხმა ვეღარ ამოიღო, ამ საოცრებით მოწუნსული მთას თვალს ვერ აშორებდა, და ამასობაში კიდევ უფრო გრანდიოზული და შემზარავი ამბის მომსწრე გახდა: მთამ პირი გახსნა, ხახიდან ცეცხლი ამოანთხია, ცეცხლი ცას შესწვდა, მერე ძირს ჩამოიფრქვა და ლურჯად დაბინდული ფერდობები დადალა. ამ სურათის შემყურე ყმაწვილს არა-აღამიანური ხმა აღმოხდა და გონდაკარგული ბანზე დაეცა. ალიზის სახელის ბინადარნი შემფითდნენ. სოფელი წამით გაირინდა, შემდეგ ხალხი აჩოჩქოლდა, აბორგ-

და, ყველა სახლების ბანებზე გამოეფინა და აცახცახებულნი, შიშისაგან გაოცებულნი შესცქეროდნენ ერთავიან მწვერვალს, რომლის ფერდობებზე ცეცხლის მდინარეები მოედინებოდა. მანამდე არნახული და გაუგონარი მოვლენა ღვთის რისხვად მიიჩნიეს და განრისხებულ ქვესკენელის ღვთაებას მსხვერპლი შესწირეს.

გავიდა ხანი. ჩაქრა ჰასან-დაღის ვულკანი, ქურუმებმა ხალხი თანდათან დაამშვიდეს, ხუროთმოძღვრებმა კი სალოცავის აშენება დაიწყეს და როდესაც მშენებლობა დასრულდა, ტაძრის კედლები ოსტატებმა და მათმა შეგირდებმა მხატვრობით შეამკეს. მერე ის საშინელება დავიწყებას მიეცა. კონიის დაბლობზე კი დარჩა მინაში ჩაძირული ალიზის ნაგებობა, რომლის კედლებმა საუკუნეებს გაუძლო და, რომელზედაც დღემდე შემოინახა მხატვრის მიერ აღბეჭდილი სტიქიური მოვლენა.

ჩათალ-ჰუიუკში მომუშავე არქეოლოგებმა იცოდნენ, რომ ჰასან-დაღის მთაზე ოდესღაც ვულკანი ბოლავდა, მაგრამ ძველი კულტურის მკვლევართ აზრდაც არ მოსვლიათ, რომ ისინი არქეოლოგიური გათხრების შედეგად ჩამქრალი ვულკანის მოქმედების ან ამოფრქვევის თარიღს დაადგენდნენ. მინის სიღრმეში ერთ საკულტო ნაგებობას რომ თხრიდნენ, არქეოლოგებმა კედელზე მხატვრობის კვალი შენიშნეს, ეს ადგილი ბენვის ჯაგრისით ფრთხილად განმინდეს


და დაინახეს ის, რაც შორეულ წარსულში ჩვენმა მხატვარმა დაინახა ჩათალ-ჰუიუკის სახლის სახურავიდან. ოთხკუთხედი სახლების ფონზე გამოხატულია ორთავიანი მწვერვალი. მთა დასახლებიან მოშორებით არის აღმართული, მწვერვალზე ვულკანი ბობოქრობს, ცა ფერფლისა და კვამლის ღრუბლებითაა ვაზავებული. დამსკდარი ნაპრალებიდან ამოღვენილი ლავა ფერდობებზე მოუთხოვხებს და ცეცხლის მდინარის ნაპირები ვულკანის მიერ ამოხეთქილი ქვებითაა ჩახერგილი. არქეოლოგებმა ეს მხატვრობა იქვე მოპოვებული ნახშირის წყალობით (რომლის დანვის თარიღს ფიზიკოსები ზუსტად ანგარიშობენ), ძველი ნელთარციხვის სამოცდამეორე საუკუნით დაათარიღეს, ესე იგი, როგორც უკვე ვთქვით, რვაათას ორასი წლის წინათ იდგა მხატვარი ამ მყუდრო სენაკში და მის კედლებს საკუთარი თვალთ ნახაბი აბობოქრებული მთის პეიზაჟით ალამაზებდა. ამ სურათის გარდა არქეოლოგები მოხიბლა კედლებზე შესანიშნავად აღბეჭდილმა ცეკვისა და ნადირობის სცენებმა: ერთგან ტანწერნეტა მოცეკვავეებს შორის, ბალერინას მსგავსი შესასური მიქნილი მოძრაობით, რამდენიმე შიშველი სილუეტია გამოსახული. აქვეა მედოლე მუსიკოსი. კედლის მეორე ნახევარი ნადირობის სცენას უკავია. ლეოპარდის ტყავებში გამოწყობილი მეშვილდენი ხარირემს ისრებს ესვრიან და რქებზე ქამანდს აცმევენ. ერთ ნახატში ირმებზე მონადირე მამაკაცს მეტებარი მიუძღვის წინ. ძაღლის მოშინაურებას რომ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ეს თქვენ უკვე იცით, მაგრამ ამ სურათზე ნადირობაში განწვრთნილ ძაღლს ვხედავთ და, ამდენად, ნახატი ადამიანის საქმიანობის ღირს-შესანიშნავ მომენტს გადმოგვცემს. ტარების კედლებზე სასოფლო-სამეურნეო პეიზაჟებიც აღმოაჩინეს. შავ ხნულეებში ლამაზადაა გამოხატული თესლის ჩაათვისი ორმოები და აბინიბეულ ჯეჯილში ამოსული ლამაზი ყვავილები, რომლებსაც თავზე ფრთახატულა პელები დასტრიალებენ.

ის უძველესი შენობები კიდევ ბევრი რამითაა მორთულ-მოხატული. ამ სურათებში ფერებისა და ხაზების ენით რთული და ვრცელი შინაარსის შემცველი ამბებია მოთხრობილი. არა მარტო ჩათალ-ჰუიუკის მხატვრებმა, არამედ ახალი ქვის ხანის ხალხებმაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მიიღწიეს კულტურის მაღალ დონეს.

ორმოციოდე საკულტო „ტაძარი“ ვათხარეს არქეოლოგებმა ჩათალ-ჰუიუკში და კედლის მხატვრობის გარდა იპოვეს სხვადა-

სხვა შინაარსის რელიეფური და მრგვალი ქანდაკებები. აქაც ისევე, როგორც მღვიმურ ხელოვნებაში, ქანდაკების უმთავრესი თემა იყო დედა. ქანდაკებები გამოკვეთილია ქვისგან, ზოგი კი ტაძრის კედლებზეა აღიზისგან გამოძენილი. ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშია რელიეფურად გამოქანდაკებული, ერთმანეთის საპირისპიროდ მდგარი, რბილი ტონებით შეფერადებული ლეოპარდები. ტავრის მთების და კონის დაბლობის ყველაზე ძლიერი და სასტიკი მხეცის გარდა შენობის საკურთხეველებს ამშვენებს გამანადგურებელი ძაღლის მქონე გარეული ტახის გამოსახულებებიც. ყველა სამლოცველოშია საკურთხეველი, რომლებზეც აღიზისგან გამოძენილი, ნამდვილი რქებით შემკული ხარის თავებია გამოსახული.

აქ დავამთავროთ თხრობა ქვის ხანის ადამიანის მოღვაწეობაზე. დამთავრდა ქვის ხანა და დაიწყო ლითონის ეპოქა. შემდეგში უკვე ლითონის ხანაში მომხდარ არანაკლებ საინტერესო ამბებზე მოვითხრობთ.



მზე ჩაყვება.

გზაზე ბომბორა მოდის. ქარი ზუზუნებს. ლოდზე ზვიადი ზის და ბომბორას ელოდება. ბომბორა ძალიან არ გეგონოთ, ზვიადის მეგობარია. ეს მეტსახელი ერთმა გოგონამ შეარქვა. სანყენია, როდესაც შენს უახლოეს მეგობარს ძალღს ადარებენ. ამ დროს კი გელას — ზვიადის მეტოქეს ფეხბურთში, თმახუჭუჭა მეგობარი ჰყავს, ბაირონა. ბაირონა ბუნებამ ხვეული თმით, სწორი ცხვირით, ლურჯი თვალებით და მედიდური გამოხედვით დააჯილდოვა. ინგლისურად თავისუფლად ლაპარაკობს და როკენროლსაც მოხდენილად ცეკვავს. გაკვეთილების დამთავრების შემდეგ ასე მიმართავს თანაკლასელებს: გუდ ბაი, არწივებო და გედებო. ბაირონა გოგონებსაც ძალიან მოსწონთ.

ზვიადს გრძელი ყურები აქვს, გოგოები არ აინტერესებს და ფეხბურთზეა შეყვარებული.

ბომბორა უშიშარი, ერთგული და მეოცნებე ბიჭია. ძალიან უყვარს ქართული ზღაპრები და ლექსები.

... ბომბორამ ხელი ჩამოართვა მეგობარს და უსიტყვოდ გაუყენენ ქუჩას. სანამ ბაირონას სახლთან მივიდნენ, დაღამდა კიდევ.

აკაციის ხესთან ლობეზე გადაძრნენ. ხის ძირში დადგმულ კაკანათს სოხვით მიუახლოვდნენ და დატყვევებული შოშია გაათავისუფლეს. მერე ორივემ მარჯვენა ხელი მალა შემარათ. უკანაც სოხვით გაბრუნდნენ და კაკანათიც თან გაიყოლეს — ჩიტები ზეცაში უნდა დაფრინავდნენ ან ხის ტოტზე შემომჯდარი გალობდნენ.

მეორე დღეს ინგლისურის გაკვეთილზე ზვიადმა რის ვაი-ვაგლახით ჩაამთავრა ერთი პატარა ლექსი. ბაირონას ხუთი დაუნერეს. ბომბორამ კი ყველა გააკვირვა. როდესაც გამოიძახეს, მშვიდად ადგა და ეს ლექსი თქვა:

მზე შინა და მზე გარეთა,
მზე, შინ შემოდოო...

ატყდა სიცილი. ინგლისურის მასწავლებელმა ბომბორას თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა: კარგია, ეს ლექსი რომ იცი, მაგრამ გაკვეთილი მაინც უნდა გესწავლო. იმ დღეს ზვიადმა ორი ბურთი გაიტანა გელას კარში.

კვირას ზვიადს ბომბორამ სახლში გამოუარა.

— გინდა ზოპარკში წავიდეთ?
— მინდა.

ზოპარკში ერთ გალიას მიაშურეს და





დადგნენ. ზვიადმა გაცხებისაგან პირი და-
ალო. ასე მარტო მაშინ ემართებოდა, როდესაც
ახალ კინოსურათს, ახალ მანქანას ან
თბილისის „დინამოს“ თამაშს უყურებდა.
შარშან მწვანე კონცხზეც ასე მოუვიდა. მა-
შინ პირველად იხილა ზღვა. როგორც კი
თბილისში დაბრუნდა, ყველაფერი მეგობ-
ბარს უაბმო. ბომბორას მაინცდამაინც არ
გაკვირვებია და თქვა, ქვეყანაზე ზღვაზე
უფრო საოცარი და მნიშვნელოვანი რაღაცე-
ებიც არსებობსო.

— მაინც რა?
— მაგას ოდესმე თვითონ გაიგებ.
— შენ ვინ გითხრა?
— მე — ბაბუამ, მაგრამ ახლა ბევრ
რამეს თვითონაც ვხედეტი.

ბომბორას ბაბუა მწერალი იყო.
ზვიადი ახლაც განცვიფრებული იდგა.
რანაირი ცხოველი და ფრინველი არ უნა-
ხავს ქვეყანაზე. ვირზეც მჯდარა... ნამდვილ
ვეფხვთან პირისპირ კი პირველად აღმოჩნ-
და. საერთოდ ზოოპარკში არ ყოფილა, მა-
მას არ ეცალა, დედა კი ხშირად ავადმყოფო-
ფობია. თამამად შეხედა ვეფხვს. მანაც პირ-
დაპირ შეანათა თვალები, ახლა კიდევ უფ-
რო მიუახლოვდა. მაგრამ ვეფხვი არ გაბ-
რაზბულა. მიხვდა, რომ ბიჭს ცნობისმოყ-
ვარობამ გადაადგმევინა ეს თამამი ნაბი-
ჯი, დიდგულობა არაფერ შუაში იყო. შეათ-
ვლიერა. ზვიადს ესიამოვნა. ბიჭები და გო-
გონები კი ხშირად გულგრილად მსცქევირან
ერთმანეთს. ასე ალბათ არ ვარგა...

როდესაც ბომბორასა და ზვიადს რაიმე
აჯაღოებთ ან ანალელებთ, მუშტს შეკრავენ
და მალე ამართავენ ხოლმე.

რა საოცრებაც — გაიფიქრა ზვიადმა, —
ამისთანა სილამაზეს ალბათ ვერც ერთი
მსატყარი ვერ დახატავს.

წრუანტელმა დაურა ტანში და მარჯვენა
მალა შემართა. ვეფხვი ისევ უყურებდა.
თითქოს მიხვდა, რომ ბიჭი მისი მფობარი
გახდა. „ოჰ, ჩემს გვერდით რომ იჯდეს მერ-
ხზე, — ინატრა ზვიადმა, — ან ერთად რომ
გავგატარებინა არდადეგები, ერთი თვე
ზღვაზე, მოერე კი — ჯუნგლებში...“

ზვიადი ფიქრებიდან მეგობრის ხმამ გა-
მოარკვია. ბომბორა ხალხურ ლექსს კით-
ხულობდა:

გზა სიარულმა დალია,
სივი ქვა — წყალთა დენამა,
ვეფხვი და ვაჟი დალია
ერთმანეთისა ცქერამა.

შემოდგომაზე ზვიადის დედა სიკვდილმა
მოიტაცა. ბიჭს უთხრეს, უკურნებელი სენით
იყო დავადებულიო. იმ დღეს, როდესაც მა-

რტო დარჩა, დიდხანს იტირა.
ერთი თვის შემდეგ ზვიადმა ინგლისური
ენის მასწავლებელს ჰკითხა:

— მასწავლებელო, რა არის უბედურე-
ბა?

— როდესაც მოსწავლე ცუდად სწავ-
ლობს, — უპასუხა პედაგოგმა.

— არა, მასწავლებელო... უბედურებაა,
როცა დედა აღარა გყავსო.

— მაპატიე, — უთხრა მასწავლებელმა
და თავზე გადაუსვა ხელი. საკლასო ოთახ-
ში მარტონი იყვნენ. დიდხანს ისაუბრეს.
ბოლოს მასწავლებელმა უთხრა: შენ ახლა
გიჭირს, ზვიად. მაგრამ თავს უნდა მოერიო.
მთელი ყურადღება სწავლაზე უნდა გადაი-
ტანო და იცი, რა უნდა ისწავლო ყველაზე
უკეთ? — დედა ენა. ინგლისურიც კარგია,
მაგრამ ინგლისური უფრო მეტად ინგლი-
სელ ბიჭებს უნდა უყვარდეთ, ქართველებს
კი — ქართული... აბა, კიდევ ერთხელ მოუსმი-
ნე, რა ჰანგებია: ყაყაო, თათი, ია, მზე, სა-
ქართველო, დედა... ზღვა, ვეფხვი, ვეფხურ-
თი. სხვა ენებიც აუცილებლად უნდა იცოდე,
მაგრამ ყველაზე უნინ მშობლიური ენა უნ-
და შეიყვარო, თორემ უმალ დაკარგავს მშვე-
ნიერებას ზღვაც, ვეფხურითაც და ვეფხვიც...
მიხვდი? ხომ ლამაზია მზე? აი, დედაენას
თუკი კარგად დაეუფლები, ერთ მშვენიერ
დღეს შინ გესტუმრება, გაგანათებს, გაგა-
თბობს, გაგამხნევებს, დედასავით მოგეყუ-
რება.

სალამოზე ზვიადმა ბომბორას მიაკითხა
და ვაჟა ფშველას „შულის ნუკრის ნაამ-
ბობი“ გამოართვა. ძილის წინ კი ხელი შე-
მართა მალა და ინატრა: შემიყვარე დედა-
ენა!

მზე, შინ შემოდით.

პირობა წარმოადგენს

ბოჰემი მთიანეთი

მთიანეთი, რთული მთიანეთი,
 გამოეყოფა საწინააღმდეგო,
 ქვეყნებმა ქუდი მოიპოვეს,
 მზად ვართო, ერთად გასმანეს.
 სწორდნენ და რეინის ქაშაღების
 სწორება იწვევს კასრებმა,
 გოდრებს, კოდებს და კალათებს
 სურთ ერთმანეთის გასწორება.
 ვენახისავე მიიწვევს
 ექვლა ცოცხალი არსება,
 მწიფე მტკვრების სიტკბოთი
 უნდათ უელთამდე ავსება.

რე პარკად დაუშაპრიათ

აუ, რამდენი მტკვარი
 მოუტანიათ ამ ვაჭრებს,
 რაც ქვეყანაზე ბავშვია,
 აკიდოდ შემოსთავაჭრებს,
 რაც ქვეყანაზე ქვეყრია,
 მარტო ეს ზვარი აავსებს,
 რა კარგად დაუშაპრიათ
 დედა-მთვარეს და მამა-მზეს...

ქედუხალი

— აქ იმოდენა ზვარია,
 თვალს ვერ მოუწვდენ კიდესა,
 ვერ ნუ ვკრფთ,
 შუა ზამთარში
 ვკრიფთ და ვჭამთ კიდესა!
 — შენ რომ გგონია, ცსთვრება
 აგრე არ არის, ქიტესავე,
 გლეხი დროულად დათვნილს
 დროულად უნდა შეიღესა!

ავთანდილ შავრალიშვილი

შეოდგომა

შეოდგომის მსემ საამოდ
 ააფურადა ტევრები...
 მეჭერემ დაკრიფა უურძენი,
 დაწურა ლალის მტევნები.
 კეკლუცები და ახლები
 აიფსნენ ოდა-სახლები.
 შინ ფუჭფუჭებენ ქვაბები,
 მარანში—სავსე ქვევრები.
 ხილი დახვავდა ბეღლებშიც
 სხვენებზე დაუტევრები.

რთველი

რთველშია მთელი კახეთი,
 ზეიმობს არეძარყო,
 მტევანი რაა, კუმზალიც
 შირთან არ გაუიკარყო.
 საჭმელად სადღა მეცალა,
 ვკრიფე და ოფლი ვღვარყო.
 ზვარში ვიფავით დამითაც,
 სანამ გვიმჭერდა მთვარყო.
 მიღსაც კი გადავავიწუდი,
 ერთხელ არ დავამთქნარყო.
 თუმც დავიღაღლე, არ ვდარდობ,
 ვნახე ზვარიანი მხარყო.
 ბევრიც ვიძრომე და ბევრიც
 ვიღვინე, ვიხარსარყო.



მზია ჩხობინანი ჩაგომელა

კიკნა ელამ—რატომელამ
შეგვაწუხა მართლა ყველა,
ყურს რომ მოჰკრავს ერთ-ორ სიტყვას,
ათასს კიდევ აქეთ გვკითხავს.
— რას უყვირიან, საკენკისთვის
მადლობაო,—ბელურებმა?
— რადიო რომ დაპარაკობს,
ჩვენი რად არ ეყურება?
— ვის აძინებს, ნეტავ, ქარი,
ამ თანჯრებთან რაზე წივის?
— ლუნლუნდა და თეთრი თოვლი
რატომ არის ასე ცივი?
ამას წინათ ძიღში კიდევ
დარდი ჩაჰყვა საესე მთვარის,
— ეს მთვარე რომ მრგვალი იყო,
ვინ ჩამოსჭრა ნახევარი?
— საცოდავი ღოკოკინა
ასე რატომ დაბოზინებს?
— ჯადოქარი რომ მოვიდეს,
გამიციცხლებს ამ თოჯინებს?
— წვიმამში თუ იზრდებიან
ხეები და ყვავილები,
მე რომ დავდგე, საღამომდე,
მათსავით არ გავიზრდები?
— ხომ ვმალდები ხოლმე მეცა,
მურაბით რომ ჩაის ვსვამო?
— რად ასწიეს მაღლა ზეცა?
მიწით რომ არ დაისვაროს?
— პაწიები რომ ჰყავს მერცხვამ,
სარეცხს რატომ არა რეცხავს?
შეგვაწუხა, მართლა, ყველა,
ამ პატარა რატომელამ.

კლავდია დავდარიანი

— რა გატირებს? — პატარა შავმა ფისომ კიბის ქვეშ შეიჭყიტა.

კიბის ქვეშ შეყუჟულმა თეთრმა ლეკვმა ცალი თვალი გამოახილა, მოსაუბრეს ახედა და უფრო ხმაბალა აუნუკუნდა.

— რა გატირებს?

— მარტო ვარ, მეშინია!

— ტირილი რას გიშველის, მეც მარტო ვარ, მაგრამ არ ვტირი!

— აბა რას აკეთებ?

— დავდივარ, საჭმელს ვშოულობ, დედა არა მყავს და რა ვქნა.

— არც მე მყავს დედა, ბოროტმა კაცებმა თავზე მავთულის ბადე გადააცვეს და ძაღლებით სავსე ვეებერთელა მანქანაში შეაგდეს, დედა ტიროდა: შვილები დამარჩა კიბის ქვეშ, პატარა, უსუსური ლეკვებიო, მაგრამ ყური ვინ ათხოვა! ჩემი და-ძმები დაიხოცნენ, დავრჩი მარტო და სულ ვტირი.

— მერე ტირილი გშველის?

— ჩემი ტირილი ერთმა კეთილმა გოგონამ გაიგონა და ყოველდღე საჭმელი მოაქვს ჩემთვის.

— დავმეგობრდეთ!

— მერე?

— მერე მარტო აღარ იქნები, სახლის სხვენზე ბინა მაქვს და ერთად დავსახლდეთ.

— სხვენზე ვერ ამოვალ, — ლეკვმა ცრემლები თათებით მოიწმინდა.

— მე დავსახლდები შენთან, ცოტა მიინი. მეც დავეტევი.

— ნუხელ მთელი ღამე არ მიძინია, — სლუკუნებდა ლეკვი.

— დავიძინით.

ლეკვი მოიკუტა, ფისო ზურგზე შეაფოფხდა და მალე ორივეს ჩაეძინა. ლეკვი ძილშიაც ნკუმტუნებდა, მაგრამ ფისოს რბილი და ფუმფულა ბუნვით ჩამთბარს მალე ფერადი სიზმრები ენვია, ჩაყურდა. ფისოც ტკბილად აკრუტუნდა.

გათენდა თუ არა, კიბესთან სათვალისანი გოგონა მოვიდა, ლეკვს კატლეტი მოუტანა. ლეკვი კუდის ქიცინით შეეგება. მერე ფისოც გააღვიძა და საუზმეზე შეიპატიჟა.

მას შემდეგ ერთად ცხოვრობენ სკოლის კიბის ქვეშ თეთრი ლეკვი და შავი ფისო. ერთმანეთს ლუკმას უზიარებენ და არც ალერსს იშურებენ ერთმანეთისათვის.

მთელმა სკოლამ იცის მათი მეგობრობის ამბავი და სასუსნავს არ აკლებენ პატარებს.





არნოლდ გეგმაკორი

კიბნი ზეეს

საოცრად მდიდარი და მრავალფეროვანია საქართველოს ბუნება. სიმშვენიერით თუ ადამიანის განმკურნაელი თვისებებით ივენში ერთმანეთს ეჯიბრებიან ტყე და ზღვისპირეთი, მთა და ბარი. მაგრამ ჩვენი ბუნების მთავარი სიმდიდრეა ტყე.

ტყის მნიშვნელობა ბუნებაში, საერთოდ, ძალიან დიდია, რადგან „ტყე ქმნის წყალს, წყალი — მოსავალს, მოსავალი კი — სიცოცხლეს“.

ქართული ტყე — ეს გოლიათი ნიფლანრები და მუხნარებია, ეს უსასრულოდ გადაჭიმული წიწვნარი და მარადმწვანე სუბტროპიკებია, მოხდენილი, თითქოსდა საქონლივით მორთული მთამადალის არყნარებია. ეს არის პატიოსანი თვლებივით ტყეებში ჩამჯდარი ტბები, აქაფებელი ჩანჩქერები და ანკარა მდინარეები. ეს არის იშვიათი, მსოფლიოში თითოთ საჩვენებელი მცენარეები. კავკასიური ფიჭვი მარიაშვედარში, ძელქვა — ბაბანურში, იმერეთის მუხა — აჯამეთში, უთხოვარი — ბანარაში, ბიჭვინთის ფიჭვი — ბიჭვინთაში, პონტოს მუხა — ჩხაკაურში. ეს ავადხარას სოჭანრია, თეთრობ-ჭობარეთის ფიჭვნარები, ბორჯომის ხეობის ნაძვნარები, კინტრიშის ხეობის კოლხური რელიქტები, აჭარა-აფხაზეთ-სამეგრელოს ბზის კორომები...

ტყის ასეთი მრავალფეროვნება საქართველოს მინა-წყლის სიუხვისა და დოვლათის მიზეზი. მწერალი ლეონ გოთუა ნერდა: „ქართველებს ტყესთან მუდამ გულმხურვალე, დედამიწილური ურთიერთობა უქონდათ.

აქ იყო კალთა სილამისა და სიუხვისა... ჩვენი მინა-წყლის სიჯანსაღე, შავის ქაღალდის, მყუდრო უბე ომბახინი ნადირობის დასაწყისი, ტანადი, დაბურული... მინც მზითა და მადლით სავსე, მრავალფეროვანი და ჯიშთმრავალი ტყე! ჩვენი წყაროებისა და მდინარეების დვილი მშობელი. ხიზნობისა და შემოსევა-დამარცხების ფამსაც ჩვენი თავისუფლებისა და გადარჩენის საბოლოო თავშესაფარი... ჩვენი ერის მწვანე აზვარი...“

ტყე დედამიწის სამკაულია, ადამიანების სიამოვნებისა და ტკობის წყარო. აქ ყველა პოულობს სულიერ საზრდოს, რადგან ტყე სულ ახალ-ახალ გამოცანებს აძლევს ამოსახსენელად მეცნიერს, ფერთა სიმრავლით იტაცებს მხატვარს, ბგერების სიუხვით — მუსიკოსს, ფორმათა სრულყოფილებით — ოქტანდაკეს... ხოლო მე და თქვენ, ჩვენ და სხვებს ხომ სამშობლოს, ჩვენი მინა-წყლის სიყვარული პირველად სარკმლის წინ მოშრიალე ხემ, ტყის პირას დანახულმა აისმა, მდინარის ჭაღებისაკენ მიმავალმა ბლიკებმა გვაგრძობინეს.

ტყე უთვალავი სასარგებლო პროდუქტის წიაღია. აი, ვთქვით, მერქანი. რამდენ რამეში იყენებენ მას — საუკეთესო ავეჯი, ჩინებული პარკეტი, საოჯახო ნივთები... ხი-



დების ბურჯებიც კი შეიძლება დამზადდეს მერქნისაგან.

მაგრამ ტყე კიდევ უამრავი ძვირფასბენვიანი ცხოველია, სოკოები და ველური ხილია, სამკურნალო მცენარეები და თაფლოვანი ყვავილებია; ტყე საიმედოდ იცავს სასოფლო-სამეურნეო კულტურებს და ნიადაგს, ინარჩუნებს ნიადაგში წყლის რეჟიმს.

ტყე ფრინველთა გალობაც არის, ნადირცხოველების, პეპლებისა და მწერების ფუსფუსიც...

ბუნებაში ყველაფერი ერთიან ჯაჭვად არის დაკავშირებული. ზოგი ცხოველისთვის ტყის მცენარეულობა უმთავრესი საკვებია, სხვებისათვის — მტაცებელი ნადირ-ფრინველებისათვის — თვითონ ტყის ეს მავნებლები არიან საარსებო წყარო. საკმარისია მოვსპოთ მტაცებლები, რომ აუცილებლად მომრავლდებიან თავისებრები, და ტყის ნარგავებს აუნაზღაურებელი ზარალი დაადგებათ. მაგრამ თუ მღრღნელები გავანადგურეთ, ძვირფასბენვიანი მტაცებლები დაიშევიან და იძულებულნი გახდებიან ტყის სასარგებლო ფრთოსნები მოსპონ. ამიტომ, ადამიანის ყოველგვარი ჩარევა ტყისა და მის ბინადართა ცხოვრებაში გონივრული და წინასწარ დიდის გულისყურით ანონ-და-ნონილი უნდა იყოს. ადამიანი ეგუება და მახინჯებულ ლანდშაფტს, გაკვამლულ ცას, გაჭუჭყიანებულ მდინარეებს, მას შეუძლია იარსებოს, გინდაც არ გრძნობდეს ყვავილთა სურნელებას, არ ესმოდეს ფრინველთა გალობა, ვერ ხედავდეს თვალწარმტაც სანახებს, მაგრამ უამისოდ მისი ცხოვრება ღარიბდება, უფერულდება, და ესეც თავის მხრივ უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე და შემოქმედებით საქმიანობაზე.

ტყეს, ისევე როგორც მთელ ბუნებას, დაცვა უნდა. და თითოეულ ჩვენგანს შეუძლია, ის კი არა, ვალდებულია თავისი წვლილი შეიტანოს ამ კეთილმოპილურ საქმეში. მაგრამ ბუნება რომ დავიცვათ, საჭიროა ვიცოდეთ, კერძოდ რა დავიცვათ. განა შეიძლება დავიცვათ მთელი ბუნება ერთბაშად? ჩვენ შეგვიძლია მზრუნველად მოვეკიდოთ, დავეხმაროთ მის ცალკეულ ნარმომადგენელს. საჭიროა ხედავდეთ, აფასებდეთ თქვენს გარშემო არსებულ ყოველ წერილმანს — ბალახს, ტიალუას, ყვავილს, ნერგს, რომლებსაც ზოგჯერ უფიქრლად თელავთ, სპობთ, ანადგურებთ. იცოდეთ, უმითოდ არ არსებობს არც ტყე, არც მდელო. ეს ბუნებაა.



მზატვარი ბიოგამ რეინივილი



მარტო რადღო

სასწავლო მუშაობა

დიდი ხნის წინათ სადღაც, თვითონაც არ ვიცი სად, ერთი საწყალი მეძველმანე ცხოვრობდა. დილიდან საღამომდე სოფელსა და ქალაქში ძველ, ორთელიან ურიკას და-არახრახებდა, თან რაც ძალი და ღონე მქონდა, გაჰყვირდა:

— თფუშები და ჭიქები ნახმარ ტანსაც-მელში!...

ღარიბი ადამიანი რომ მოჰკრავდა თვალს ჩვენს მეძველმანეს, მაშინვე დაიმა-ლებოდა, მხოლოდ ზოგი შეძლებული თუ შეევაჭრებოდა.

ასე ცხოვრობდა მეძველმანე. ზაფხულის მცხუნვარე მზესი თუ მზაფრ, სუსხიან ქარ-ში სულ ძველ ურიკას დაარახრახებდა. კა-ნი გაუუხეშდა, ფეხები დაუსისლიანდა.

შემოდგომის ერთ ცივ, ღრუნლიან დღეს ერთი საკვირველი ამბავი შეემთხვა. ერთი სოფლიდან მეორეში რომ მიდიოდა, შუა-გზაზე ცივი ქარი ამოვარდა. შესცივდა მე-ძონძეს. არც სახლი მოჩანდა სადმე, რომ თავი შეეფარებინა. ამ დროს იფიქრა, ური-კაში ხომ ნახმარი ტანსაცმელი მაქვს, ჯეგ-რამე ვიპოვო და გავთხო; დიდხანს იქექე-ბოდა ძველმანეებში, მაგრამ დაძონძილი ჟი-ლეტის მეტი თბილი ვერაფერი ნახა.

„სულ არაობას მაინც სჯობია!“ — გაი-ფიქრა და ჩაიცვა. მაშინვე სასიამოვნო სით-ბომ დაურა ტანში, თითქოს თბილ ოთახში შევიდაო.

— რა კარგი ჟილეტია! — წამოიყვირა გახარებულმა, — ნეტავი ასეთივე თბილი ქუდიც მეხუროსო. — თქვა თუ არა იგრძ-ნო, რომ თავზე ქუდი ეხურა. მოიხადა და დიდხანს უყურა გაოცებულმა. სწორედ ნა-ნატრი ქუდი იყო.

— ფეხები გამყვინა და თბილი ფეხსაც-მელიც რომ მქონდეს, ჩემზე ბედნიერი ამ ქვეყანაზე კაცი არ იქნებაო! — ჩაილაპარა-კა მეძველმანემ.

და მოხდა სასწაული: დინახა, რომ ფეხ-ზე ახალთახალი ფეხსაცმელი ეცვარა.

„სიზმარში ვარ თუ ცხადში? — დაიფიქრობა და მეძველმანე. — მაგრამ როგორ არ და-ვიჯერო, როცა თავზე ქუდი მახურავს და ფეხსაცმელიც მცვივა. ალბათ, ჟილეტი ჯა-დოსნდა. რაღა გამიჭირდება, ბედნიერად ვიცხოვრებ, მაგრამ მაინც უნდა შევამონმო ჟილეტის სასწაულმოქმედი ძალა!“.

ჟილეტი გაიხადა და ფუნთოშა და ძეხვი ინატრა. მაგრამ ნატვრა არ აუსრულდა.

„ჟილეტი როცა მაცვია, ყველა ნატვრა მისრულდება!“ — გაივლო გულში და ისევ ჩაიცვა.

იმ დღიდან მოყოლებული სულ შეიცვა-ლა მეძველმანის ცხოვრება. ურიკა გადააგ-ლო და ერთ მშვენიერ სასახლეში დასახლ-



გნატარნი ლადო ტატიშვილი

და. რა გინდა სულო და გულო, მას არა
ჰქონდა. ცხოვრობდა უზრუნველად და ბედ-
ნიერად. ერთხელაც ცოლის შერთვა გადა-
წყვიტა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მიადგა მე-
ფის სასახლეს. მეფეს თორმეტი გასათხოვა-
რი ქალიშვილი ჰყავდა, მაგრამ გულზე მძი-
მე ნალევლი შემოსწოლოდა, რადგან სამე-
ფო ხაზინა ცარიელი ეგულუბოდა და სასახ-
ლეს დანგრევის პირას იყო მისული. სწო-
რედ კარგ დროს ეახლა მეძველმანე — ახ-
ლა სჭირდებოდა მეფეს ასეთი მდიდარი სა-
ნიძო. რაკი მეფის თორმეტ ქალიშვილში
ყველაზე ლამაზი უმცროსი იყო, ჩვენმა მე-
ძველმანემ ის შერთო და თავის ზღაპრულ
სასახლეში წაიყვანა.

დიდი ქორწილი გადაიხადეს. შვიდი დღე
და ღამე გრძელდებოდა სასახლეში ღვინო
და ნადიმი. უკრავდა მუსიკა, ყველა მზი-
არულობდა, მხოლოდ ახალგაზრდა პატარ-
ძალი ნაღვლობდა. ვერა და ვერ დაიყოლია
თავისი ძვირფასი მეუღლე, გაეხადა ის და-
ძონძილი ფილეტი, რომელიც ოქრომკედით
ნაქარგი მოსასხამის ქვეშ ეცევა. არც ტკბილ-
მა სიტყვამ გაჭრა, არც ტირილმა, არც გა-
ჯვარებამ. ქმარი დუმდა, არაფერი უთხრა
თავის ახალგაზრდა ცოლს არც წარსულზე,
არც ფილეტის სასწაულმოქმედ ძალაზე.

მერე დღეს სტუმრები წაიღო-ნამოვიდ-
ნენ. მოუთმენლად ელოდა პატარძალი ამ
დროს, იქნებ ახლა მიანიდ გაიხადოს ჩემმა
ქმარმა ეს ფილეტიო. მაგრამ იმედი გაუც-
რუნდა. ქმარი ერთი ნუთითაც არ იშორებ-
და ფილეტს.

გავიდა დრო. ცოლ-ქმარს დასალონებე-
ლი არაფერი ჰქონდა, ცხოვრობდნენ ბედ-
ნიერად. მხოლოდ ეს იყო, რომ ცოლს ის აკ-
ვიატებული აზრი მოსვენებას არ აძლევდა.
ბოლოს ეშმაკობა იხმარა, ერთ მშვენიერ
დღეს დასაძინებელი წამალი შეურია ქმარს
საჭმელში და სანამ ქმარს ღრმად ეძინა,
ძველი ფილეტი გახადა. სწორედ ამ დროს
სასახლის წინ ერთმა მეძველმანემ ჩაიარა
და ქალმა გადაწყვიტა, დაკონკილი ფილეტი
ერთ ჭიქაში გადაეცვალა.

გაიღვიბა თუ არა მეორე დღეს ქმარმა,
ფილეტი მოიკითხა. ცოლმა ყველაფერი უამ-
ბო. ქმარი საშინლად განრისხდა.

— ოჰ, შე უბედურო! — აყვირდა ის, —
იცი, რომ ჩვენი ამოდენა ბედნიერება ერთ
უზრუნო ჭიქას ანაცვალე! ეს მშვენიერი სა-
სახლე, ძვირფასი ტანსაცმელი, თვალ-მარ-
გალიტი და მსახურნი, ყველაფერი, ყველა-
ფერი იმ დაძონძილი ფილეტის წყალობით
გვექონდა...

ქალმა ტირილი მორთო, მაგრამ რაღას



უშველიდა. ტყუილად დაადევნეს მეძველ-
მანეს ხალხი, მის კვალს ვეღარავინ მიავნო.
თითქოს მიწამ უყო პირიო. ეს კიდევ არაფე-
რი. მეორე დღეს მსახურები გაქრნენ, საუც-
ხოო ტანსაცმელი გამოხუნდა, ძვირფასი
ქვები კენჭებად იქცა, ოქროს ფული — სპი-
ლედის მონეტებად, ზღაპრული სასახლე კი
დაილია, მოძველდა და მესამე დღეს მის ად-
გილას ერთი ფარალალა ქოხილა იდგა.

ახლა ის აღარ გაინტერესებთ, რა ბედი
ენია ჩვენს ძვირფას მეგობარს?

მეოთხე დღეს მან ისევე ძველ ხელობას
მიჰყო ხელის და მას შემდეგ მთელ მსოფ-
ლიოს უფლის გარს, ეგებ დაკარგული ბედ-
ნიერება ვიპოვოო.

საქ. სსრ კ. შარქისი
სახ. საბ. რესპუბ.
გეგლიოლიც

უნგრულიდან თარგმნა
ზანო იმერლიშვილმა

17. 973

თანადო პასი დოთანადო აბრკობიანად ბრლივობა

როგორც ყველა გოგონას, ნინიკოსაც ძირითადი უყვარს დედა და ყოველთვის ცდილობს მხარში ამოუდგეს და დაეხმაროს.

ყოველ საღამოს ოგი ოჯახში დაგროვილ საქმეების ნარჩენებს, ქაღალდებს და ნაგავს ვედროთი ქუჩაში მიარბენინებებს და შეშობლის სახლის წინ ყრის.

რომელი საქციელი მოეუწონათ ნინიკოს და რომელი არა?



ქუჩისა ცვივა ამჟამად

ე

უჭუნა წვიმა მოვიდა,
დიდი მინდორი დანაშა,
ჯეჯილმა მუხლი იყარა,
ფერი იცვალა უანაშა.
მაღე ჰურებიც შემოვა,
იხაროს გლეხის ძალაშა,
ბნელი გაანათს ნათელმა,
ბორბოტი გული—დანაშა.

ვ

მუსხვიანი

ხედავ მევხვარეს ვახით მხარხედა,
წინ უძღვის ცხვარსა, მიდის მთახედა,
სალამურს უკრავს ზარის ხმახედა,
ცხვარიც მეტი ჰეავს თავის თმახედა.

ე

...

კლის ადგილზე ამოხვალა
ველისა არის წესია,
მოხუცი მოკეის იმახვე,
რაც სიერძით დაუთესია.





წიგნების ავსება



ჩემი ბებოს ბაღაში,
სადაც ეზოს ბოლოა,
მზეზე ბრწყინავს ათასი
ალისფერი ღოღლა.

გვა ჩაკალიძე

გისაჩირობი

მდულარე ქვაბში შიშველი
ჩავიდა სიტყვის უთქმელად,
ჩაიცვა და ამოვიდა,
მხეს მიეფიცხა

პასუხები „ღილა“-ში დაბეჭდილ თავსატეხეებს

№ 7. იმისათვის, რომ მივხვდეთ, რა რიცხვი ეწერა მესამე სახლის კარზე, უნდა დავადგინოთ, რა წესითაა დაწერილი რიცხვები პირველ ორ სახლზე. დააკვირდით მათ—5, 3, 1, 7 და 9, 1, 4, 6. მცირე დათქმულების შემდეგ მივხვდებით, რომ $5+3-1=7$; და $9+1-4=6$; რადგან $8+4-3=9$, გამოვიდს, რომ მესამე სახლის კარზე კითხვის ნიშნის ადგილზე ეწერებოდა 9-იანი.

№ 9. ამოცანის ამოხსნა „ბოლოდან“ უნდა დაგვიწყობ. ქეთინომ ძმებს 8 ქლიავი დაუტოვა, ე. ი. თითოეულს ოთხ-ოთხი უნდა რჩებოდა. მაგრამ ქეთინომ ხომ ქლიავები სამ თანაბარ ნაწილად გაყო, ე. ი. თვადაც 4 ქლიავი აიღო. მაშასადამე, მას თვფუზე 12 ქლიავი დახვდა. 6-6 ქლიავი ზაზას დაეტოვებინა ვიას დატოვებული 18 ქლიავიდან. რაკი ვიამ 18 ქლიავი დატოვა, ცხადია, მან 9 ცალი შეჭამა. 9 და 18 კი 27-ია.

ამრიგად დედამ შვილებს 27 ქლიავი დაუტოვა.



საქართველოს ალკე ცუცია და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური სახელოს უფროსი უმცროს-ქლესელთათვის.

გამოცემის 1987 წლიდან.
საქ. კ. ცუცია-გამომცემლობა.

მთავარი რედაქტორი
მანუჩარ ნიშანაძე

სარედაქციო კოლეგია: მუხარამ აბრამაძე, ილია ანთონაძე, შერი ლავინია, თაზვილი, სოლომონ დემურაძე, შვილი, ლილია ბრამი, ბანანა კობახიძე, ვალა ლოსაბერიძე, გუგუა ვაჟაშვილი, ჯუარა ნაღორაძე, გიორგი ბრინჯიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), თინათინ ხალაუბი (პედაგოგი), გივი ქინაძე, გივი ბიძინაძე, ბანანა ხაჩიძე.

ტექნიკური რედაქტორი
ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: შო. რედაქტორის 93-41-80, 98-98-15; პედაგ. მდიანის 93-10-82, 98-98-18; სახ. რედაქტორის — 98-98-18; განყოფილებების: 93-98-19; 98-98-17.

გაზეთი ასაწეობად 19. 07. 85 წ., ხელმოწერილი დასაბეჭდად 27. 08. 85 წ., ქალაქის ზამთ. 60x9018 ფორ. ნაბ. ფურც. 2,5 ტრაჟი 168.000, შეკვეთა 1529.

უფრო ნაზიკა მთაბა
საქართველოს

«ღილა» («Утро»). ежемесячный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Ленина для младшеклассников, на грузинском языке.

Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии.
Главный редактор Энвер Нишарадзе (тел. 93-41-30).
Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Объем 2,5 печатных листа, тираж 168.000. Заказ № 1529.

6-255/157



ჩხირკედელი



წელი ოპროკირიძე

ბარათები ჰერბარიუმისაკენ

ტყეში სეირნობისას რკოს კაცუნა ხშირად აგროვებდა მინდვრის ლამაზ ყვავილებს, ფანტასტიკურ ფოთლებს, სხვადასხვა ჯიშის ძურწა ბალახებს, მერე ძველი წიგნის ფურცლებს შორის დებდა და ახშობდა; როდესაც წვიმა ან შემოდგომის ქარი უბეჩავდა და სასეირნოდ გარეთ გასვლა არ შეიძლებოდა, ჩხირკედელი იჯდა მაგიდასთან და ფერად ფურცლებზე გამხმარ ყვავილებს ან ფოთლებს აწებებდა, ქმნიდა ლამაზ ბარათებს და თავის მეგობრებს უგზავნიდა. ბავშვებო, თქვენც სცადეთ. შეარჩიეთ ჰერბარიუმისათვის შესაფერისი ფერადი ქალაღის ფონი, დააწებეთ თაიგულად შერჩეული გამხმარი ყვავილები და თქვენი ნახელავით გაახარეთ ახლობლები და მეგობრები.